




# საშურის მოახბა



№6 (477) 24 თებერვალი, ორშაბათი, 2025 წელი

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულდა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამამ, რომელიც ქვეყნის მთავრობის მიერაა დაფინანსებული, ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა, სამოცდაჩვიდმეტივე სოფელი მოიცავს. მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერიის სამსახურების ხელმძღვანელი პირები და საკრებულოს წევრები, ორი კვირის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის მოსახლეობას ხვდებოდნენ, სადაც,



საერთო კრებაზე, ცალკეული დასახლებების პრიორიტეტები იკვეთებოდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, 900 ათასზე მეტი თანხაა გამოყოფილი, რომელიც სოფლების კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს.

გასულ კვირას, შეხვედრები გაიმართა სურამის, ფლევის, ქვიშხეთის, ცხრაბუხის, წალვლის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების მოსახლეობასთან. ამ შეხვედრებმა კი შემდეგი პრიორიტეტები გამოავლინა, რომლის მოგვარებაც უმოკლეს ვადაში დაიწყება: ნაცარგორა - სასაფლაოს შემოღობვა; პატარა ფლევი - მინისტალიონი; დიდი ფლევი და ტკოცა - სკვერი; ურთხვა - სკვერი; ზუკოტა - ცხურების მოწყობა; ბიჯნისი - ხიდის მოაჯირები; სურამი - სკვერი; დიდი და პატარა ბეკამი - სანიაღვრეები და გარე განათება; ბულბულისციხე, ბელღეთი, სავანისუბანი - ბეტონის გზა; სარმანიშვილის კარი - ბეტონის გზა; ქვიშხეთი - სასაფლაომდე მისასვლელი გზა; რუსაანთუბანი - საყრდენი კედელი; მონასტერი - სანიაღვრე არხები; ტამისკარი - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი; სათივე - მინისტალიონი; ყიფიანთუბანი - სკვერი და საბავშვო ატრაქციონები; ცხრაბუხა - ძველი სკვერის რეაბილიტაცია; დამჩხულა, კოდისწყარო, ქაშვეთი, ჯვართმუხა, თავგეთი, რბონა - გზების მშენებლობა; ცოცხნარა, ოძისი, ცივწყარო, ცედანი - ბეტონის გზა; წაბლოვანა - შიდა საუბნო გზა; ქემფერი - შიდა საუბნო გზა და გარეგანათება; წალვლი, კლდისწყარო, წედვერი - შიდა სასოფლო გზები; ქვემო ბროლოსანი - სანიაღვრე სისტემა; ზემო ბროლოსანი - ბეტონის გზა;

ტიტვისწყარო - მისასვლელი გზა; ჩორჩანა - მინისტალიონი. მოქალაქეთა გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტები, დასამტკიცებლად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება.



„პროგრამის განსახორციელებლად, მთავრობის განკარგულებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტს 904 000 ლარი გამოეყო. ეს პროექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ ადგილობრივები თავად არჩევენ პროექტებს, რომლებიც თავიანთ დასახლებებში განხორციელდება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ გარდა სოფლის მხარდაჭერის



პროექტით განსახორციელებელი პროექტებისა, ვცნობით ადგილობრივების საჭიროებებს და შესაძლებლობის ფარგლებში, ვცდილობთ, პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებას.“ განაცხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა.



## საშურის ახალგაზრდულ სივრცეში, ინტელექტუალური თამაში

### “ბიგ-რაუნდის” პირველი ტური გაიმართა

„ბიგ რაუნდის“ პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო საშურის მუნიციპალიტეტის 20-მა სკოლამ. თამაშს გამოეთიშა 2 გუნდი. ინტელექტუალური პაექრობა მაისის თვეში დასრულდება, სადაც ოთხი საუკეთესო გუნდი ფინალში გამოავლენს გამარჯვებულს.

აღნიშნული განხორციელდა საშურის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და კულტურის სამსახურის, საშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ორგანიზაცია “ახალგაზრდები საშურის განვითარებისთვის” ხელმძღვანელობით.

### ხაშურის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დაგეგმილი - განსახორციელებული/მიმდინარე - ინფრასტრუქტურული პროექტები :

ხაშურის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დაგეგმილი - განსახორციელებული/ მიმდინარე - ინფრასტრუქტურული პროექტები :

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდის დაფინანსება შეადგენს 8 960 891 ლარი (თანადაფინანსება 448 054 ლარი):

სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევსკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფელ ცხრამუხაში, (მე-2 და მე-11 ქუჩები) შიდა გზების მოასფალტება; ქალაქ ხაშურში, შინდარის დასახლებაში, სკვერის მოწყობა;



ქალაქ ხაშურში, შოლას მარცხენა სანაპიროს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

- დაბა სურამში ბულაურას დასახლებაში, გზის რეაბილიტაცია;
- სოფ ვაყაში, შიდა გზების რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, ე.წ. „გოგალაძეების უბნის“ რეაბილიტაცია;
- ზემო-სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა;
- სოფელ გომში, შიდა გზების მონაკვეთების რეაბილიტაცია;
- სოფელ ყიფიანთუბანში, შიდა გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, კაკალათხევის დასახლებაში, შიდა გზის მოწყობა;
- დაბა სურამში, ბულაურის დასახლებაში, შიდა გზის მოწყობა;
- დაბა სურამში, გვრდისუბნის დასახლებაში, გზის რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, გრიგოლ სურამელის #105 მიმდებარედ, გზის მოწყობა;

- დაბა სურამში, მარტავას ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, აღმაშენებლის მე-2 ჩიხის რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, საკაძის ქუჩის რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, დიდგორის და ორბელიანის ქუჩების რეაბილიტაცია;
- სოფელ ხცისში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობა;
- შუშის ქარხნის დასახლება, N11 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ბორჯომის ქუჩა, N60 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, რუსიას ქუჩის მოასფალტება;
- ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 8 137 930 ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება:
- სოფ. ცხრამუხაში, სოფლის შიდა გზის მოასფალტება - 1900 გრძ/მ;
- სოფ. ცხრამუხაში სოფლის (მე-2 და მე-11 ქუჩები) შიდა გზის მოასფალტება - 1900 გრძ/მ ;
- სოფ. ალიდან სოფ. ნაბახტევსკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ;
- სარმანიშვილისკარში შიდა გზების მონაკვეთის რეაბილიტაცია;
- სოფელ ალში, გოგოლაანთუბანში შიდა გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია;
- დაბა სურამში, ბულაურის დასახლებაში გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ წაბლოვანაში და სოფელ ცედანში მისასვლელი საავტომობილო გზის მოასფალტება;
- სოფელ ხცისში, შიდა გზის მოწყობა;
- ქ. ხაშურში, ზემოსერის ტყე პარკის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი;
- დაბა სურამში ყოფილი კინო-თეატრის შენობის რეაბილიტაცია;
- ქალაქ ხაშურში, მდინარე შოლას მარცხენა სანაპიროს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;
- სოფელ ქემფერში წყლის ჭაბურღილის მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობა;
- სოფელ ქვიშხეთში, წყლის ჭაბურღილის მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობა;
- სოფელ ტაშიკარში, წყლის ჭაბურღილის მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობა;
- კლდისწყაროსა და ბროლოსანში, წყლის ჭაბურღილის მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობა;
- სურამის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში (საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულება) დაფინანსდება - 81 პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენს 904 000 ლარს (თანადაფინანსება - 700 000 ლარი).

- ასევე მიმდინარეობს:
- ქ. ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;
- ქ. ხაშურის N4 საჯარო სკოლის მშენებლობა;
- დაბა სურამში, საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- სოფ. ცხრამუხაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ბმ“ 2025წ, #1,2,3,4,5).

ტუზრის ხოდაბუნი - ადგილი. 1711 წელს ვახტანგ VI სხვა მამულებთან ერთად აძლევს ვახუშტი აბაშიძეს. ტყემლები - ადგილი; იგივე მანჩხაურა. უძირო - ადგილი; „სამხრეთით, ფშანში, სოფლიდან გასასვლელი გზის მარცხნივ, ერთ ადგილას ძლიერ დაჭაობებული ადგილი არის, სადაც ცოცხალი არსება ან ნებისმიერი საგანი მოხვედრისთანავე ნელ-ნელა იძირება. ერთხელ კამეჩი შესულა. დაძირვა რომ დაუწყია, შეშინებული აყროყინებულა. შემსწრეებს კამეჩის რქებზე თოკი გადაუცვამთ და სატვირთო მანქანით ძლივს ამოუთრევიათ“.

ფიჭვნარი - ადგილი; „სურამში, ბეკამსა და სხვა ადგილებში ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე გააშენეს ფიჭვნარი. მაშინ ტუზერშიც ყოფილა გათვალისწინებული ფიჭვნარის გაშენება, მაგრამ როგორც ამბობენ, კოლმურნეობის გამგეობის თავმჯდომარე წასულა წინააღმდეგი. ომის შემდეგ, მიხეილ მურვანიშვილის ხელმძღვანელობით, მცირე ტერიტორიაზე მაინც გააშენეს ფიჭვნარი, რომელიც ბოლო პერიოდში გაიჩეხა“.

ფონის სერი - ადგ; სერი ჩრდილოეთით. ფუყე სერი - ადგ., სერი ჩრდილოეთის მხარეს. „ჯონჯოლი და წვრილა ტყეა. მანჩხაშვილის კაცი იყო და ფუყეს ეძახდნენ“.

ფუყეს ახო - ადგილი; „გოგალაძის ნაჩხის ჩრდილო - დასავლეთით, ქნაქობის დაბლა, სამხრეთით. ტუზრელმა გლეხმა სერგო მანჩხაშვილმა, მეტსახელად ფუყემ, ტყე გაჩეხა და მიწა სახნავ-სათესად გამოიყენა“.

ფშანი - ადგ., სახნავი, სათესი, სათიბი, საძოვარი სამხეთის მხარეს. „ტუზრის ტერიტორიაზე მდებარე სახნავ-სათესი მიწებია, რომლის შუაგულში მიედინება მდინარე შოლა. ფშანის სახნავ-სათესი მიწები იწყება ქვიშხეთის მისადგომებიდან და გრძელდება რუსაანთუბნის, ტუზრის და ყიფიანთუბნის ტერიტორიებზე“.

ფშოტიკარი//ფშოტიკრები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.

„გადმოცემით ფშოტიკრებისა და კლდეებს შორის ნასოფლარია“. „აქ გადმოცემით უცხოვრიათ ფშოტაძეების გვარს, რომლებიც სოფლის თავში ვიდრე წყლისთავამდე, ფლობდნენ მიწას. ამბობენ, ფშოტაძეები ჟამიანობის დროს ამოწყდნენ“.

რუისის საწყმსოს 1715 წლის დავთარში მეორე სახეცო ტუზერში (დღევანდელი სავანის უბანი) დასტურდება ფშოტაძის გვარი. კერძოდ, აქ სახლობდნენ ფშოტაძე ივანას, გიორგის, სეხნიას, პაპუნას, მახარას, შიოს, კიდევ ივანას კომლები.

ღვალოვანა//ღვალუანა - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. „ღვალო ყოფილა პირგადგმული. ღვალო ბალახია“.

„მანჩხაშვილების უბნის აღმოსავლეთით, ბეკმის დელის მარჯვენა ნაპირზე, უამრავი ღვალო იზრდება“.

„აქ მცხოვრებ აზნაურ ორჯონიკიძეებს გადაუწყვეტიათ მიჰმართონ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას და აცნობონ, რომ ისინი მზად არიან შესწირონ ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის ადგილი, ღვალუანად წოდებული... აგარაკი ღვალუანა მდებარეობს სოფელ ტუზერსა და ბეკამ-შუა და სივრცით ოცდარვა დღისაა. ბუნება საუცხოო, რამდენსამე ალაგს გადმოიხუხუხებს საუკეთესო ღირსების წყარო, შიგვია ზომით 6 დღიურზე მეტი ნორჩი, მაგრამ ძლიერი მუხნარი...“.

ლოჯი ქედი - ადგილი; დაფიქსირებულია 1749 წლის 23 აგვისტოს ქაიხოსრო ნაცვლიშვილის მიერ მამუკა ორჯონიკიძისათვის მიცემულ წიგნში: „...ესე წიგნი მოგეც მე, ნაცვლისშვილმა ქაიხოსრომ, შვილმა ჩემა გიორგიმ თქვენ, ორჯონიკიძეს მამუკას, შვილსა თქვენსა ქაიხოსროს და პაპუნასა. ასე რომე ჩემს კაცს გიორგის თქვენის კაცის გოგატაძის დაყიდავას ედავებოდით და ჩემს კაცს ზოგი ჩემის გულისთვინ აპატივეთ, ზოგი გადასახადათ მოგეც: მახარას ნასახლარი, ნანიტას ნასახლარი თეთრს სამნამდი, ზეით ზაქარაშვილის მიდგამდი, აქეთ შარამდი, ქვეით შავს სამნამდი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, არა კაცი არ გეცილებოდეს. ვინც შემოგეცილოს, პასუხის გამეცი მე ვიყო. ამას გარდა კიდევ მამიჩემის ნასყიდო ღოჯის ქედი მოგეც ორი დღის. კიდევ ჩემი დარჩა იმაში და ამის საწავლოთ თქვენ ჩიტაშვილისეული ბოგირი მომეცი თე“. სახელწოდება გვხვდება 1774 წლის 27 მარტის საბუთშიც: „...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცი თევენ,“.

## ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები





# “მესამე გაკვეთილზე გაიგო, რომ მე დედ-მამა არ მყავს... მეუბნება: “ბიჭო, ჩვენა ხო ვართ მეგობრები? ჰოდა, მე მეგობრისგან ფულს არ ავიღებო” - გიორგი ლობჯანიძის ემოციური ინტერვიუ

(დასასრული)

ჯერ ერთი, აქ ნასწავლი სპარსულით რთული იყო ცნობრება, მიუხედავად იმისა, რომ ბატონ კარლოს არაფერი დაუკლია და მასწავლა ყველაფერი. ადგილზე ჩასული რომ ენას სწავლობ და ეჯახები, ის აბსოლუტურად განსხვავებულია იმისგან, რასაც შენ სწავლობდი და რაზედაც შენ საუბრობდი. შენ მაინც ლაპარაკობ საადის, ჰაფუზის და ომარ ხაიამის ენით. ამ დროს კი იქ არის გაბმული მეტყველება, ცოცხალი, თანამედროვე ენა, რომელიც მაშინ არავინ იცოდა. არავინ იცოდა, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ იმ დონეზე, რაც იყო საჭირო, მაშინ იყო თითქმის ჩამოსათვლელი ადამიანი, რომლებმაც იცოდნენ თანამედროვე სპარსული. თავიდან ჩასულზე ვიფიქრე, რომ სულ ტყუილად მიმეცადინია, რადგან საერთოდ არაფერი მესმოდა. რასაც მელაპარაკებოდნენ იქიდან მხოლოდ თითო ოროლა ფრანსას ვიქრდი. ამ დროს კი მე „თავი მომქოდა კიტრად“, რომ მე ვიცი სპარსული. თურმე, ამ შეფასებაშიც ვცდებოდი და რატომ?! დაახლოებით, ერთი-ორი კვირის მერე, ყური რომ მიეჩვია, ჩემმა



მეცადინეობებმაც შედეგი გამოიღო, უცებ ჩამრთველი გადატრიალდა და დავიწყე ლაპარაკი სპარსულად. შემდეგ კი უკვე, როდესაც კომუნიკაცია გახშირდა, გაიოლდა კიდევ და არანაირი პრობლემა არ შემქმნია. სტუდენტებსაც ვუბნები, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილზე ენის სწავლას, ამის გარეშე სრულყოფილად ენის ცოდნა არ არსებობს. მაგრამ ადგილზე ენას იმ შემთხვევაში ისწავლი კარგად, თუ მანამდე შენს ოთახში, აუდიტორიაში და კონკრეტულად შენს თავზე ბევრი გაქვს ნამუშევარი.

- თქვენ სტუდენტები ასხენეთ. როგორც აღმოსავლეთმცოდნე, რას ფიქრობთ, დღეს საქართველოში ეს ფაკულტეტი არის მოთხოვნადი თუ იმდენად არა, როგორც მესაძლებელია, რომ იყოს?

- კი, არის. ახლაც აგერ ოთახში ვსხედვართ, სადაც ორი დიდი არაბისტის სურათი კიდია - გიორგი წერეთელი და ალექსი ლეკიაშვილი. ესენი იყვნენ საუკეთესო მეცნიერები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გიორგი წერეთელი კი - ფუძემდებელი ქართული არაბისტიკის და, ზოგადად, აღმოსავლეთმცოდნეობის. მიუხედავად ჩემი პატივისცემისა ძველი თაობის

მიმართ, დღეს არის საუკეთესო დონეზე აღმოსავლეთმცოდნეობა განვითარებული, რაც კი შეიძლება ყოფილიყო. აი, რა განსხვავებაა, დამონებულ ქვეყანასა და თავისუფალ ქვეყანას შორის. იმიტომ, რომ დღეს საქართველო არის ცოცხალი ნაწილი მთელი მსოფლიოსი და მათ შორის, აღმოსავლეთისა და ეს სიცოცხლე განაპირობებს იმას, რომ შენ მუდმივად შეხებაში ხარ აღმოსავლეთთან. სამეცნიერო აკადემიურ დონეს არ ვეხები ამ შემთხვევაში, თუმცა ამ დონეს განაპირობებს სწორედ სოციალური კონტაქტები. როდესაც, არაბულს ან სპარსულს სწავლობ, როგორც მკვლარ ენას, ძალიან ბევრი რამ გაკლდება. სკოლასაც გააჩნია. ძირითადი, მოგესხენებათ, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმიტომ არა, რომ მე თსუ-ის პროფესორი ვარ, აქ ძალიან მაღალი დონეა და დიდი მოთხოვნებია, ძალიან დიდი კონკურენცია. ეს ყველაფერი კი არის არაჩვეულებრივი. თვითონ სტუდენტებს რაც შეეხებათ, ერთგვარი მოდაც არის - ირანისტიკაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ არაბისტიკა მოდურია. ირანისტიკას უკვე გაუჭირდა რადანაირად, ვინაიდან ეს თაობა მაინც ფიქრობს იმაზე, თუ რა მატერიალური შემოსავალი ექნება. ირანი თავისებური ქვეყანაა, თავისებური სისტემით და ეს ამინებთ და აფრთხობთ სტუდენტებს.

- ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ საქართველოში არ არის შესაბამისად და სწორად დაფასებული მასწავლებლის დვანლი და საქმიანობა. როგორ ფიქრობთ, რამ უნდა შეუწყოს ხელი და რა ღონისძიებებია გასატარებელი, რათა უფრო დაფასდეს ეს საქმიანობა?

- მოდი, დავიწყეთ იქიდან, სადამდისაც უნდა მივიდეთ. უნდა იყოს შესაბამისი ანაზღაურება იმ შრომისა და გარჯისა, რასაც მასწავლებელი მთელი ცხოვრების განმავლობაში ეწევა. ეს არის უმძიმესი შრომა. წუწუნზე კი არ არის ლაპარაკი, ცხადია, მაგრამ ოდნავ ადევკატური უნდა იყოს შემოსავალი იმისა, რასაც გასცემ. ძალიან მძიმე ტვირთია და, შესაბამისად, სწორადაც უნდა იყოს დაფასებული. ცოცხალ პროფესს, რომ დააკვირდეთ, მიხვდებით, რომ უდიდეს ენერჯის იღებთ სტუდენტებისგან, მოსწავლეებისგან და ვერანაირი მატერიალური ანაზღაურება ამას ვერ ჩაანაცვლებს. მასწავლებლის შრომის დაფასება კი, გარდა მატერიალურისა, უნდა იყოს აწყობილი საგანმანათლებლო სისტემით. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ეს საგანმანათლებლო სისტემა ვერა და ვერ აეწყო. სწორედ, ეს არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა. როდესაც ზოგადი განათლება დაცემულია სავალალო ნიშნულზე, იქ რა აკადემიურობაზეა საუბარი?! როდესაც სკოლა ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. დღევანდელი განათლების სისტემა აბსოლუტურად არაადეკვატურია სინამდვილისა. განათლების სისტემა საქართველოში გასულ საუკუნეებში დარჩა, წიგნის ეპოქაში.

- დაბოლოს, მოდი, ვისაუბროთ თქვენს ჯილდოებზე, რომელიც როგორც ვიცი, საქართველოში სულ რამდენიმე ადამიანს აქვს.

- არა ერთი ჯილდო მაქვს მიღებული. ერთია, რომ ვარ „წლის წიგნი“, სადაც მთელი მსოფლიოდან სახელდებიან გამარჯვებულები ირანისტიკის და ყურანოლოგიის სფეროში. 2008 წელს კი ყურანის თარგმანისათვის მომენიჭა ირანის სახელმწიფო პრემია. რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან დიდი დაფასება. ბევრს მიუღია, მაგალი თოდუსა ჰქონდა, ვახუშტი კოტეტიშვილს და ბელა შავლაშვილსაც მიენიჭა, თუ არ ვცდები. მაგრამ მე ვიყავი ერთადერთი, რომელიც ჩავედი დაჯილდოების ცერემონიაზე. ცხადია, დაუვიწყარი ცერემონია და ღონისძიება იყო. ახმადი ნედაჯდთან ახლო კონტაქტი და გაცნობა კი ძალზედ საინტერესო გახლდათ.

ბოლო პრემია, ირანში მიღებული, ასევე, არანაკლები მნიშვნელობის არის - შაჰრიარის მედალი. ესეც აქვთ ქართველ ირანისტებს მიღებული ჩემამდე. წელს სწორედ ჯალალედინ რუმის „არსთა მენსევის“ თარგმანისა და, საერთოდ, ირანისტიკაში შეტანილი წვლილისათვის დამაჯილდოვეს ამ მედლით და ამას გასცემს თავრიზის უნივერსიტეტი მსოფლიო მეცნიერებისათვის, რომელთაც გარკვეული სახის წვლილი შეაქვთ ირანისტიკაში.

### მარიამ ჭანტური

რედაქციის მინაწერი: 20 თებერვალს, ბატონი გიორგი იუბილარი იყო. ჩვენი გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ვულოცავთ მას დაბადების დღეს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ.

### - ხელოვნება-

## „ოქროს ფარი“ ამერიკიდან გამარჯვებული დაბრუნდა

3 თებერვალს, ამერიკის შერთებულ შტატებში, ქალაქ ლას ვეგასში გაიმართა მსოფლიო ფესტივალი „ოქროს ოცნება“, სადაც ხაშურის ბავშვთა დამსახურებული, სახალხო, სანიმუშო

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოქროს ფარიც“ გახლდათ მიწვეული, უკვე მეორედ.

„- მარშან ამ ფესტივალზე მხოლოდ ჩვენი ანსამბლი იყო მიწვეული იყო, სადაც ნინო ლომსაძის ჯეირანმა 1 ადგილი აიღო ... წელს კი სურვილი უფრო მეტმა გამოთქვა და წინასწარი შერჩევით, 7 ანსამბლი გავემგზავრეთ ... კონკურსზე წარვადგინეთ 3 ქორეოგრაფიული ნომერი: ქართული ცეკვა, წყაროსთან და აჭარული ბალადა... „ოქროს ფარი“ ამჯერადაც გამარჯვებული დაბრუნდა.. დაჯილდოვდა პირველი ადგილით, მოცეკვავეები სპეციალური მედლებით...

(დასასრული VI გვერდზე)





ზამთრის ბოლო დღეებში კიდევ ერთხელ გაბვილამაზა ზემო სერის პარკი.

ნ. კახიანიძის ფოტო.

**- ხელოვნება -**

**„ოქროს ფარი“ ამერიკიდან გამარჯვებული დაბრუნდა**

(დასასრული)



ხოლო ქართული ცეკვის ჩვენი სოლისტი ლიზი ქუთათელძე, საუკეთესო სამემსრულებლო ოსტატობისთვის და ულამაზესი კოსტიუმისთვის, გრან-პრით დაჯილდოვდა. ყველა ეს გამარჯვება მიუძღვნით ჩვენს საშურ ქალაქს და მესამედ მივიღეთ მიწვევა... არის უკვე მზად ჩვენი მესამე გასტროლისთვის ამერიკაში, - ამბობს ანსამბლის ქორეოგრაფი ნონა თელიაშვილი.

„ეს მეორე გასტროლი დაუვიწყარი იყო იმიტომ, რომ მოვიარეთ 3 შტატი და ამ შტატების ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქები... ყველაზე მთავარი



კი ლას-ვეგასის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიწვევა გახლდათ, სადაც „ოქროს ფარი“ სახელოვნებო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა ქართული ცეკვის მასტერკლასი.. ეს იყო ისტორიული შეხვედრა, სადაც გაფორმდა მემორანდუმიც... ქართული ცეკვების მრავალფეროვნებამ დიდი დაინტერესება ჰპოვა ამერიკელ სტუდენტებში, - გვიზიარებს ამერიკულ მთაბეჭდილებებს ნონა თელიაშვილი.

ნიუ იორკში, ლას ვეგასში, ლოს ანჯელესში, ვარსკვლავთ ბილიკზე და ოსკარების დაჯილდოების საცერემონიო კოდაკის თეტრში გადაიდეს პატარა ვიდუო-კლიპი და მოაწყეს ჩვენება...

დაბრუნდნენ გამარჯვებულები და დიდი მთაბეჭდილებებით.. „ოქროსფარი“ პირველი ანსამბლია საშურიდან, ვინც ამერიკაში იცეკვა.. „ოქროს ფარი“ მადლობას უხდის ამისთვის ანსამბლის პროდიუსერს ნინო გელაშვილს.

თ. ახალკაცი



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.  
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.  
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.